№ 239 ნოემბერი 6, შაბათი 1893 ნოემბერი 6, შაბათი № 239

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

### ტფილისი, 6 ნოემბერს.

—

მწერლობასაცა და საზოგადოებასაც არა ერთხელ აღუნიშნავს სიმწვავე ბატონთა და მოსამსახურეთა შორის არსებულ დამოკიდებულებისა. ერთის სიტყვით რომ გამოვსთქვათ ეს გარემოება, საკმარისია ითქვას, რომ ძნელია ისეთის ადამიანის პოვნა, რომელიც მოსამსახურეს არ უჩიოდეს; უფრო არა ნაკლებ ძნელია ისეთის მოსამსახურის გამოძებნა, რომ მადლიერი იყოს თავისის ადგილისა და ბატონისა. სიმართლით ერთნიც მართალნი არიან ძმეორენიც. იქნება ეს სიტყვები ბევრს ეუცხოვოს პირველში, მაგრამ მცირეოდენი ჩაფიქრება საკმარისია, რომ სიმართლედ და ჭეშმარიტებად აღიაროს. იქ, სადაც ურთიერთობასა და დამოკიდებულებას განონის ლარი არა აქვს გავლებული, სადაც ბატონმა არ იცის, რა შეუძლიან მოსთხოვოს თავის მოსამსახურეს და მოსამსახურემ—რა მოვალეობას აკისრებს სამსახური, —ეს ურთიერთობა ყოველთვის გამათობის ამტეხი იქნება, ბაასის გამომწვევი და დამოკიდებული ბატონისა ან მოსამსახურის ავ-კარგიანობაზედ.

ვიმეორებთ, როდესაც გამორკვეული არ არის ყოველივე გარემოება ბატონთა და მოსამსახურეთა ურთიერთობისა, ძალ-მომრეობასა და თავისკენ წათლა-წაგლეჯას დიდი ფრთა-გასაშლელი მოედანი აქვს დათმობილი და ყოველთვის უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ ბატონი ეცადოს მცირე ფასად მეტი შრომა დააკისროს მოსამსახურეს, ხოლო მოსამსახურე—კარგი სასყიდელი აიღოს სულ უმნიშვნელო შრომაში. აქ ურთიერთობის დამადგენელი და დამამკვიდრებელი, როგორც ჰხედავთ, ადამიანის სინიდისი იქნება და ის-კი ძნელად მოსალოდნელია, რომ ასეთს სათუო საქმეში სინიდისიანს ბატონს სინიდისიანივე მოსამსახურე შეჰხვდეს. ამიტომ ჩივილსა დ დრტვინვას არასოდეს არ მოელებაბოლო, ვიდრე საზოგადოდ და სამუდამოდ დადებული არ იქნება ზღვარი უფლებასა და მოვალეობას შორის.

ეს გარემოება დიდი ხანია დანახულია როგორც თვით მთავრობისა, ისე საზოგადოების მხრივ და ბევრჯელ განიზრახეს რაიმე საშუალება ეღონათ ამ ურთიერთობის განსაზღვრისა და გამორკვევისათვის. რამდენადაც გვახსოვს, რუსეთის ზოგიერთს ქალაქებში თვით ქალაქის თვით-მმართველობათა მიერ შემუშავებულია წესდება ბატონთა და მოსამსახურეთა ურთიერთობისა, მაგრამ ასეთ წესდებათ დიდი მნიშვნელობა ვერ მიეცემა, რადგან, ჯერ ერთი, უმაღლესად დაკანონებული არ არის და, მეორე, სამოქმედო ასპარეზიც მხოლოდ ის ქალაქია, რომლის თვით-მმართველობისაგანაც არის დამოკიდებული. ამ გვარად წესდებას, ის ნაკლ ისდევს, რომ საზოგადო კანონად არ არის გარდაქმნილი, ისეთ კანონად, რომლის აღსრულებასაც ვალდებული უნდა იყოს ყოველი რუსეთში მცხოვრებელი.

ჩვენს ქალაქს ტფილისშიაც-კი იქმნა დანახული საჭიროება ამ ურთიერთობის გამორკვევისა და ამ ათის თუ თხუთმეტის წლის წინად ქალაქის საბჭოს ხმოსანთა წინადადებით გამოწერილ იქმნა სხვა ქალაქებიდგან ბატონთა და მოსამსახურეთა ურთიერთობის წესდებანი. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც ქალაქის გამგეობამ თავისი გულ-გრილობა დააბერტყა ამ სასურველს საქმეს და აქამდე არავინ იცის, რამ შეაბრკოლა და შეჰხუთა ეს საქმე. ამას გარდა, ტფილისის მოსამსახურენიც რამდენჯერმე შეიკრიბნენ, შეადგინეს წესდება და გუბერნატორს წარუდგინეს დასამტკიცებლად, მაგრამ არც ამ მხრივ გამოდნა რამე. რომ სასურველია ამ საქმის ეხლა გამორკვევა და ბატონთა და მოსამსახურეთა დამოკიდებულების დაკანონება და რომ ეს საქმე საყოველთაო საჭიროებას შეადგენს ამას მარტო ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ორივ მხრივ იყო ეს საგანი აღძრული, როგორც ბატონთა მიერ, ისე მოსამსახურეთაგან. მარტო ესეც საკმარისია იმის დასანახავად, რომ აწინდელის მდგომარეობის უკმაყოფილონი არიან ერთნიცა და მეორენიც.

ამიტომ სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ამბავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე შესდგომია ამ საქმის განხილვას და შეუკრებია სამსახურეთა შორის დასამყარებელად სასურველ დამოკიდებულების გამორკვევისათვის. სამინისტროს განზრახვა აქვს შეიმუშავოს განსაკუთრებული წესდება, ისე, როგორც სოფლის მუშაობისათვის არის შემუშავებული წესები. პირველში, ამბობს გაზეთი Русск. Жиз.-ი, უნდოდათ ამ საგნის გამორკვევა ქალაქის თვით-მმართველობისათვის მიეჩემებინათ, მაგრამ რადგან შეიძლება მათ მიერ დადგენილ წესებს შორის სხვა-და-სხვაობა იყოს, ამიტომ ისევ მთავრობამ ითავა ერთის, საზოგადო წესდების შემუშავებაო.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს, რადგან ეს საგანი დიდი ხანია წინ წამოყენებულია ცხოვრების მიერ და გადაწყვეტას, გამორკვევას ელის. სასურველია, გულ-მოდგინედ და თითოეულად გამოირკვეს ბატონს რა უფლება აქვს მოსამსახურეს წინაშე და მოსამსახურე რას არის ვალდებული თავისის მხრივ. უფლებასა და მოვალეობას შორის გარკვეული ხაზი უნდა იყოს გავლებული, რადგან უფლებას მოკლებული მოვალეობა მონობაა, ხოლო მოვალეობას მოკლებული უფლება, ის უკვე დაგმობილი და უარ-ყოფილი ბატონობაა, რომლის დროსაც ბატონი ყმის უფალიც იყო, მეფეც და თითქმის ღმერთიც.

დიოგენი

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბორჯომის რკინის გზის შტოს დაასრულებენ თუ არა, მაშინვე ამ შტოს განაგრძობენ ქ. ახალციხეზედ. როდესაც [illegible] დროს ამიერ კავკასიის რკინის გზის ინჟინრები დაიწყებენ ახალციხიდგან ყარსამდე გზის გამოკვლევას რკინის გზის შტოს განსაგრძობად.

*** ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში ძლიერ აცივდა, რადგანაც კავკავის მთებზედ დიდი თოვლი დადო. კავკავის გზაზედ გუდაურსა და ყაზბეგს შუა დიდი თოვლი მოვიდა. ჯვართან მარხილები დადის. სადგურ ყაზბეგსა და ლარსს შუა თოვლის ზვავი ჩამოწვა და ეტლების მისვლა-მოსვლა მოსპობილი იყო 20 საათით. ფოსტა მარხილებით გადააქვთ, რისა გამოც რუსეთის ფოსტა გვიან მოდის ტფილისში.

*** ტფილისის პირველს გიმნაზიაში აპირობენ სტენოგრაფის სწავლება შემოიღონ. ამ გიმნაზიის დირექტორი ამ ჟამად ნება-რთვასა სთხოვს კავკასიის სამოსწავლო მზრუნველს.

*** ჩვენ მოგვივიდა 35 მან. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად. აი სია შემომწირველთა: ალ. ბერიძე 2 მან., აბულაძე 2 მან., ალექ. ალექ. ძე ამირეჯიბი 10 მან., ლაჩინბეროვი 1 მან. და როსებ ამირეჯიბი 20 მან. ამ ფონდისა იყო დღემდე 213 მან. ერთი აბაზი შესდგა სულ 248 მან. ერთი აბაზი.

*** თელავი: ამას წინად სოფ. ზემო-ხოდაშნის ტყეში ვიღაც ავ-კაცებს ისე უცემნიათ სოფ. კისისხევის მწყემსისათვის, რომ ნაცემი გლეხ-

## ფელეტონი

—

### ტბა

(ძველი ამბავი)

#### I

ეს ტბა ძალიან დიდი იყო; მის კამკამა წმინდა წყალს ლურჯი ფერი დაჰკვროდა. ცას ქვეშ ედგა, ცა პირდაპირ ჩასცქეროდა და ცას ისა. იმათი შუამავალი ნაცრის ფერი ნისლები იყო. ისინი ტბის ნაპირიდამ ამდგრები ცის კალთებს აეფარებოდნენ, მერმე აიწევდნენ და ხაჭოსავით ნაჭერ-ნაჭერი ერთი აღმოსავლეთისკენ მიქანავდა, თითქო წყალს ყინული მიჰქონდესო და სხვაც დასავლეთისკენ.

ეს ვერაფრით ვერ გავიგე, სანამ კარგად არ დავფიქრდი, ტბასა ჰქონდა ცისგან ლურჯი ფერი, თუ ცამ მოჰპარა ტბასა და ისე მიუწდომელ სიმაღლეზედ აიტანა. იქ მფრინავი ფრინველებიც ვერაფერს გეტყოდნენ მაგისასას.

ერთმა ვიღაც ავმა ენამ-კი წამჩურჩულა: «რომ ეგ ფერი არც ერთის საკუთრება არის, ორივენი უფეროནი არიანო.

კიდევ ის მიკვირდა, როცა ქარი ამოუქროლებდა, ტბის ზედა პირი როგორ კეცას იწყობდა ხოლმე; როგორ ერთმანეთზედ დგებოდა იმისი ტალღები, გაშავდებოდნენ, გაყვითლდებოდნენ, მერე-კი ისევ დამშვიდდებოდნენ, ისევ ისეთი შალაშინ გადასმული გული გაუხდებოდა ტბასა, —ვიტყოდი, ნეტავი მაგასა-მეთქი, რომ მაგისთანა ხასიათისა ყოფილაო. ბევრი მენავე დაახრჩო, ბევრი მეთევზე ჩაყლაპა, ჩამარხა თავის ძირში და ზედ თვითონ არის გადაფარებული. იმისი ძირი სულ დამხრჩვალი კაცების ძვალებით და იმათი ნავების ნამტვრევებით იყო მოფენილი. ისეთი წმინდა იყო და აბა კაცი იქმნებოდით, თუ იმის ძირზედ ერთს რასმე ამას დაინახავდით.

#### II

შუა მინდორში ერთი ლია იდგა. ირგვლივ ჩალა-ლერწამ-ჭილი,ი შემორგვალებული და ჩარჩოსავათ ჩამჯდარი. გაზაფხულზედ ეს ჩალა-ბალახი მწვანედ აბიბინდებოდა, წყლიდამ ამოჰყოფდა მწვეტ წვერებს, ზაფხულში წყალს ასცდებოდა და მაღლა ეჭირა ამაყად თავი. შემოდგომაზედ თესლს დაისრულებდა, ქარი ლელქაშს დაუბერავდა და ბატის გერმასავით ჰაერში აატრიალებდა. ზამთარში ჩახმებოდა, ჩაიმტვრეოდა და ჩაწვებოდა ლიის ძირზედ. მუდამ ზამთარს სულ ახალ-ახალი დამპალი ემატებოდა, ამიტომ იმის წყალს მუდამ მყრალი სუნი უდიოდა, ისეთი ღრმა და სქელი ტალახი იყო ჩაწოლილი, რომ რაც უნდა გძელი ჯოხი ყოფილიყო, ჩაგერჭო, ვერც ძირზედ ჩაუწვდენდა და ველარც ჯოხს ამოიღებდი, საკვირველი იყო იმისი ხასიათი. რასაც პირს მოავლებდა, ალარაფერს ალარ გაუშვებდა ზევით, მაგრა ჩაიხუტავდა ხოლმე თავის დამპალ გულში. რამდენი კამეჩი ჩაიხრჩო და ჩაიჩხა იმაში, რომ ჰაპნებით და საყევრებით ველარ ამოათრიეს, რამდენმა ძროხამ ჩასჩარა შიგ ზამთრისგან გამხმარი თამბაქოს ჯოხარივით გაზები და ველარ ამოიღეს. ეს ძვლები სულ იქ იმის ძირზედ იყო დიდხანსა. იმის ძირზედ ბევრი სქელ-ბაკანა კუ დაცოცავდა, წურბელა იძაბებოდა და ბაყაყი ფეხებსა ფშეკდა, ყველა ესენი არხეინად იყვნენ, დიდს სიამოვნებაშიაც იყვნენ; საკვირველია, ერთხელ არ მინახავს, რომ კუს ფეხი ტალახში ჩასჭედიყოს, ბაყაყს ჭრელი ქურქი გასვროდეს და წურბელას უსიამოვნო სუნი ეგრძნოს. იხვი, ლალღი, გოჭი, მებაყაყეიაც იმისი ხშირი სტუმრები გახლდნენ. ეს იყო თევზი ვერ გაჩნდა, არა გვაროზდა.

#### III

ლიის ახლო სახნავები იყო, გლეხები სიმინდსა სთესავდნენ. ამ ლიას გადაჰთხრიდენ ხოლმე და ისეც ცოტა წყალს ხნულებში მიუშვებდნენ. თან ზაფხულიც დადგებოდა, დააჭერდა საძაგელი სულის შემხუთავი ზაფხულის პაპანაქება, ლიას წყალს ძალიან ათხელებდა. სწუხდა ლია ძალიან, სწუხდა, რომ ყველას ასე სასაცილოდ აგდებული ჰყავნდა და აბუჩად დაჭერილი. სწუხდა, როცა წყალი აკლდებოდა და შემომდინარი წყალი-კი ისევ ის იყო, ძირიდამ მოჩუხჩუხე; იფიქრებდა ხოლმე, ნეტავი ისე იყოს, რომ სულ შემომდიოდეს და ალარ გამდიოდეს-კიო. განა არ შეიძლება რომ ასე მოხერხდესო. ნეტავი ვიცოდე, ან ამ მზეს რა უნდა ჩემგან და ან ეს კაცები რას ჩამომკიდებიან. გლეხები-კი იტყოდნენ

კაცი მეორე დღესვე გარდაცვლილა. სოფ. ძველ-გავაზში ნასვამმა გლეხკაცმა დასჭრა ხანჯლით ძლიერ მძიმედ თავისი ცოლი და დედა.

*** იქიდამვე: აქაურმა პოლიციამ მიაქცია ყურადღება დილიჟნების საქმეს და განკარგულება მოახდინა, რომ ის დილიჟნები, რომელიც ტფილისსა და თელავს შორის დადიან, დაემორჩილნენ ერთს წესსა და რიგს, მგზავრთათვის სასარგებლოსა.

*** ს. გეგუთი (იმერეთი): აგერ რვა თთვეზე მეტი იქნება, რაც სოფლის დარაჯები გვყავს. დარაჯების მოვალეობაა, დაიცვან სოფელი ქურდებისა და ავაზაკებისაგან. მაგრამ ამ ბოლოს დროს თვითონ მათგან დრე სხვა ავის კაცებისაგან. დაღამდება თუ არა, დაიწყება მათი ნავარდობა და, აქაო და დარაჯები ვართო, აღარავის აღარ ინდობენ და ყველას უზრდელად და ავად ეპყრობიან. ერთს აზნაურთან უსიამოვნობაც მოუვიდათ. დარაჯებმა ასე გადაუხადეს ამ აზნაურს: დაეცნენ მის მეუღლეს, როცა საქონელს უვლიდა და უნდოდა მიერეკნა ბინაზე, სცემეს უწყალოდ. ამ საქმის გამობოქაულიც იყო აქ. გამოძიება სწარმოებს

## მთავრობის განკარგულებანი

С.-Петерб. Вѣд.-ის სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს დაუმტკიცებია შინაგან საქმეთა მინისტრის აზრი იმის შესახებ, რომ შეზღუდულ იქმნენ ბოშები თავის ნებით სიარულის მხრივ მკვიდრად დაბინავებულს ხალხში. ბოშებს ამ აზრით სრულიად აქვთ აღკრძალული იმპერიაში გადასვლა-გადმოსვლა. დროებით გამართული კარვები პოლიციამ უნდა წაართვას და დასწვას და თვით ბოშანი-კი, თუ აქეთ-იქით გადამხიზვნელნი არიან, თავის ოჯახობით უნდა გაიგზავნონ იმ ადგილას, სადაც მიწერილნი არიან. ეს მიწაწერი ადგილი პასპორტებში ექმნებათ აღნიშნული და სამის წლის განმავლობაში არც ნება აქვთ თავისის ბინიდგან აურისა. ის ბოშანი, რომელნიც შენიშნულ იქმნებიან ცუდს საქციელში (ქურდობასა, მკითხაობასა, მოტყუებით ცხენების შეცვლა-ვაჭრობაში და სხ.), სასამართლოს-მიერ მისჯილ სასჯელის გადახდის შემდეგ, გადაეცემიან საგუბერნიო ადმინისტრაციას, რომელსაც შეუძლიან შინაგან საქმეთა სამინისტროსა სთხოვოს ამათი ციმბირის შორეულს ადგილებში გადასახლება.

## დამაკვირდი

—

ძაღლი საკურმელეში თავისს რწყილსაც დაჭყლეტს ხოლმე, ნადირობის დროსკი არავითარს ყურადღებას არ აქცევს რწყილებს.

ჩინური ანდაზა

**

ადამიანს გონებისაკენ სამი გზა აქვს: აზროვნება—ეს ყველაზედ კეთილშობილი გზა; მიბაძვა—ყველაზედ ადვილი გზა; გამოცდილება—ყველაზედ ძნელი გზა.

## ქართული თეატრი

ციმბირელი, კომედ. 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

დათვი, ვოდევილი ერთ მოქმედ., თარგ. გ. ვოლსკისა.

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, ქართულის დრამატიულ დასის არტისტებმა წარმოადგინეს ა. ცაგარლის საუკეთესო პიესა «ციმბირელი», რომელიც წინა წლებში არა ერთხელ წარმოუდგენიათ, და აგრეთვე არა ერთ გზის ნათამაშევი ვოდევილი „დათვი“, რომელიც რუსთა მწერალის ა. ჩეხოვის ნიჭიერს კალამს ეკუთვნის და ქართულადაც ძალიან მოხერხებით და ლამაზად არის გადმოკეთებული ბ-ნ გრ. ვოლსკის მიერ.

პიესა არტისტებმა საკმარისის ცოდნითა და ხელოვნებით ჩაატარეს. განსაკუთრებით მშვენივრად დაგვიხატა მაზუთიანის ტიპი ბ-ნმა აბაშიძემ, რომელიც ამ როლში მართლა რომ შეუდარებელია. ყოველი მისი ნაბიჯი და მოძრაობა აწონილი იყო და ნათქვამის აზრის შესაფერი.

ბ-ნი ყიფიანი ყოველთვის ზომიერია, მართებული და თავ-დაჭერილი თავისს როლებში და არც ამ ხელად უღალატნია ამ გზისათვის. ბოლომდე თავისი როლი კარგად ჩაატარა. მხოლოდ ეს-კი არ გვესმის, რად გამოდის უსტაბაში იოვანე ტუსალის მაზარით? თითონვე ამბობს, ორისამი დღეა ქალაქში ვარო, ჩემის ცოლ-შვილის ამბავსა ვკითხულობდიო, და ნუ თუ ტუსაღის მაზარით დადიოდა?!

მშვენიერი იყო ბ-ნი აწყურელი პეტუას როლში. უკეთესი აღმსრულებელი ძნელად თუ ვინმე გამოუჩნდეს პეტუას როლს ჩვენს სცენაზედ და ამიტომ სასურველია, რომ ხშირადა ვნახოთ ხოლმე ბ-ნი აწყურელი მაგ ხასიათის როლებში.

დანარჩენი არტისტები, ბ-ნ შათირიშვილს გარდა, ცოტა არ იყოს სუსტობდნენ, მეტადრე ბ-ნი გუნია, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ შევამჩნიეთ საჭირო გულ-მოდგინება, სავალდებულო ყოველის არტისტისათვის. სრულიად უგუნებოდ თამაშობდა ნიკოლას ისეც უფერულს როლს და მეტად ახდენდა ანსამბლს თავისის უალაგო-ალაგას გაღიმებითა და გაცინებით.

ვოდევილმა, ბ-ნ აბაშიძის წყალობით [illegible]

წარმოდგენაზედ საზოგადოება ცოტა იყო, რაც ბრალად უნდა დაედოს ჩვენს არისტოკრატიას, რომელმაც ამ ბოლოს დროს ძალიან აიცრუა გული ქართულს წარმოდგენებზედ, ქვა მიაგდო და ქართულის თეატრისაკენ აღარ მიუხედნია. მდაბიო ხალხს, რომელიც უფრო თანაგრძნობით ეკიდება თეატრს, სამუშაო დღეებში არ შეუძლიან თეატრში სიარული, მაგრამ ეს ჩვენი არისტოკრატია-ღა, სადა ბრძანდება?.. ამ ათის, თორმეტის წლის წინად ლოჟები იმათგან იყო ავსებული და ეხლა რას უნდა მიეწეროს იმათი ასეთი საერთოდ ხელის-აღება ქართულს თეატრზედ, არ გვესმის...

გარდახვეწილი

## კორესპონდენცია

—

**ფოთი**, 2 ნოემბერი. ჩვენი ქალაქი მშვიდობიანი და მყუდრო ქალაქია. მოძრაობა და სიცოცხლე არ ეტყობა. ათასში ერთხელ თუ მოხდება რამე ისეთი, რომელიც მცირეოდნად გამოაფხიზლებს ხოლმე. ამ ცოტა ხანში აქ შესდგა სცენის მოყვარულთა წრე, რომელსაც აზრად აქვს წარმოდგენები ჰმართოს ქართულად და რუსულადაც. ამ საქმის მოთავედ არის აქაურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი პლოხოტნიკოვი; მან თვისის შრომითა და მეცადინეობით გაამართვინა ისეთი სცენა, რომელიც სილამაზითა და მოწყობილობით არ დაუვარდება მდიდარ თეატრების სცენებს. მანვე, როგორც ვიცით, შეადგინა შეგირდებისაგან მემუსიკეთა დასი. პირველი წარმოდგენა კიდეც გაიმართა კვირას, ღვინობისთვის 31-სა, ხსენებულის სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „დათვი“, კომედია-ხუმრობა გრ. ვოლსკისა და რუსულად „Дѣдушкинъ фракъ и тётушкинъ копотъ“, Н. Яковлева. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. ანტრაქტებში საამურად უკრავდა შეგირდ მემუსიკეთა დასი. ზოგიერთმა თვისის როლის უნაკლულოდ შესრულებით გააკვირვა და ისეთს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რომ ტაშის ცემას და „ვაშა-ვაშას“ ძახილს ბოლო არა ჰქონდა. ერთის სიტყვით, საზოგადოება დიდად ნასიამოვნები და კმა[illegible] ერთი ბილეთი არ დარჩენილა გაუყიდველი. იმედი გვაქვს, რომ ეს ნორჩი წრე ხშირად გაგვიმართავს ასეთს სასიამოვნო ქართულს წარმოდგენებს.

აგერ თითქმის ორ კვირაზედ მეტია, რაც ფოთელებს კარგი დარი არ გვინახავს, სულ წვიმს და წვიმს. რიონი ძრიელ ადიდდა და ნაპირებს მოედო. ქუჩებზედ ნახევარ ადლამდის წყალი დგას, ასე რომ მისვლა-მოსვლა ფეხით, თუ არ ეტლით, შეუძლებელია. მაგრამ წვიმას ვერა იხივლებდა, ქარს რომ არ დევეზარალებინეთ. გუშინ, 1 ნოემბერს, ამოვარდა ისეთი საშინელი ქვენა ქარი, რომ სულ ძირიან-ფესვიანად სთხრიდა კვიპაროზის ხეებს და სახლებს სართულსა ჰგლეჯდა. ამბობენ, ასეთს ძლიერს ქარს არ მოვსწრებივართო.

ავადმყოფობა ფოთში ნაკლებად არის. ხოლერის ნიშანიც აღარა სჩანს.

მ. ბ. ჩხიკვაძე

## მისსიონერი ბერი, სვანი თეოფანე

სწორედ ყურადღების ღირსია ამბავი და ცხოვრება მისსიონერის ბერის თეოფანესი, შთამომავლობით სვანისა. მ. თეოფანე დაიბადა ზემო-სვანეთში და თვრამეტ წლამდე მოუნათლავი იყო. თუმცა სვანები ძველი ქრისტიანები არიან, მაგრამ იმათ შორის ქრისტიანობა თანდათან სიბნელითა და ცრუ მორწმუნებით ივსებოდა და უვიცი და უსწავლელი „პაპები“ სწევდნენ მღვდლების მაგივრობას. ამ ბოლოს დროს სვანები თითქმის სრულიად გადაქრისტიანდნენ და ქრისტიანობა აღარაფერში ეტყობოდათ. უფრო დიდს გაჭირვებაში იყო ამ დროს თავისუფალი სვანეთი, რომელიც შესდგება შვიდის საზოგადოებისაგან. მის დაპყრობას მონდომებულნი იყვნენ მეზობელი მებატონეები, ამისათვის ხშირად ესხმებოდნენ თავს, მაგრამ სვანეთმა თავისუფლება ხელშეუხებლად დაიცვა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

მ. თეოფანე ჯერ ისევ თხუთმეტის წლისა იყო, რომ მღვდელი მ. იოანე კანდელაკისათვის მიუბარებია იმერეთის ერთს ძველს თავადიშვილს საღმრთო წერილში გასაწვრთნელად. ეს თავადიშვილი საზოგადოდ დიდად მფარველობდა ახალგაზდა თეოფანეს და სამის წლის შემდეგ ამ თავადიშვილისავე სასახლეში მოინათლა თემწყალობელის შვილი იყო. დაბადებით სახელად ერქვა თაისავ, ხოლო მონათვლის შემდეგ ეწოდა თეოფანე. ამის შემდეგ იმავე თავადმა თეოფანე წაიყვანა ტფილისს და წარუდგინა საქართველოს ექსარხოსს ისიდორეს, რომელმაც თეოფანე დარიის მონასტერში მიაბარა მორჩილად. აქედგან მ. თეოფანე გაჰგზავნეს გელათის მონასტერში, სადაც დაჰყო მან საშიოდე წელიწადი და გულ-მოდგინედ სწავლობდა საღმრთო წერილს ქართულს ენაზედ (მ. თეოფანემ არ იცის რუსული). შემდეგ აღიკვეცა ბერად მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის მიერ და გაგზავნილ იქმნა სვანეთში საქადაგებლად და ქრისტიანობის დამრგველად.

აქედგან იწყება დიდი შრომა და ღვაწლი მ. თეოფანესი. ისეთის სასოებითა და მოხერხებით შეუდგა თავისს მოძმეების გაქრისტიანებას, რომ სულ მცირე ხანში სამი ათასამდე სვანი მოაქცია და ქრისტიანობის გზაზედ დააყენა. მისსიონერი არ დასჯერდა თავის მრევლის ეკკლესიას და დაიწყო ვერანა, მიგდებულს ადგილს მონასტრის აგება თავისის საკუთარის ხელით. მცირეოდენ ხნის განმავლობაში ორი პატარა ეკკლესია ააშენა რამდენისამე სახლით და ერთ მათგანში აგერ თხუთმეტი წელიწადია სწირავს კიდეც. თვითონაც იქა სცხოვრობს განუწყვეტელს შრომაშია, და თანდათან უმატებს შენობებსა. რადგან მ. თეოფანეს მონასტერს ყველაფერი საკმაოდ აქვს, ამიტომ მან

---

ხოლმე, ღმერთმა დაუმადლოს, ეგ ლია რომ არ იყოს, სიმინდებს რილათ მოვრწყავდითო. მართალია, ადგილი უჭირავს, ირგვლივ ჭაობად გადააქცია მამულები, აღარაფრად ვარგანან, მაგრამ ე წყალი ხომ მუდამა გვაქვსო. მზისათვის-კი სულ ერთი იყო, ის ასე სჯიდა, მომცემ რასმე—მოგცემ მეც, არ მომცემ—მეც ძალიან მშრალი და ცხელი გული მაქვსო.

ვინ იცის, რამდენი ხანი გავიდა, რამდენმა იხვმა გამოჩიკა ამ ლიის ჩალებში: ბევრი წყლის წამყვანიც გამოიცვალა მაგრამ ის ლია ისევ ისე იდგა და ისევ იმ ფიქრსა ლექდა და ვერ ჩაეყლაპა, იქნება ჩაყლაპა, მაგრამ ველარ მოინელებინა. ერთთავად მთებსა, მინდორს შესთხოვდა დიდ ტბად გადამაქციეთო, მთებს წყალსა სთხოვდა და მინდორს ადგილსა, დიდხანს იდგნენ მთები ჩუმად და პასუხს არ აძლევდნენ. ფიქრში იყვნენ, ვინ იცის რასა ფიქრობდნენ. მინდორი კი მზათ იყო ადგილი დაეთმო, თუ-კი მთები წყალს მისცემდნენ.

რამდენსაც მე მომიმატებთ წყალს, იმდენად მეტს მე მივცემ გლეხებსაო, ეპირებოდა ლია მთებსა. თუ-კი არაფერი მექნება, ან ისენი რილათ, მორწყვენო. დაიჯერეს მაღალმა მთებმაც, იმათ დაბლისა არაფერი გაეგებოდათ, სულ შეეცოდა მთებს საწყალი ლია, გადასწყვიტეს იმისი დახმარება.

მაღლა იდგნენ და იცქირებოდნენ, ჯერ ერთი წყარო გამოუგზავნეს ჩუმად მიწის ძირ ძირ, არ უნდოდათ მშვიდი ცხოვრებისა და გარემოებათ მდინარებათათვის სამფლობელოში რამე ახალ შეტანილით დაერღვიათ. მიემატა ეს წყარო წინანადელს ლიის ნაკადს და წყალს მაღლა ასწია, განზედაც გასწია. პირველ ნაკადს მეორეც მიუმატეს მთებმა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე, მერე ერთი დიდი ხევიც ჩამოუგზავნეს. ლიაც თანდა-თან დიდდებოდა, წინანდელი საცოდავი გუბე ეხლა დიდ ტბად გადაიქცა, გაიშალა, გაფართოვდა, ნაპირებს გარს გასწია. წინანდელი თოკ-ვადასაწვდენი ეხლა თვალ გაგაუწვდენელი გახდა. წინანდელ კუების სა[illegible], ნავების სასრიალო გახდა. ადრინდელი ბაყ-ყების ბუდე მეთევზეების ბუდედ გახდა. მთებიც უხვად უგზავნიდნენ და უგზავნიდნენ წყალსა ხალხსაც უხაროდა, აი ერთი გამოსარჩომი საქმე გაგვიჩნდაო უხაროდათ, უწყლო ადგილას წყალი გადვიჩნდაო. ჩვენი ბედი არისო. აესხნა ტბას ირგვლივ ხალხი გაშენდა, სოფლები. დრო მიდიოდა, ტბა დიდდებოდა, გლეხების იმედი-კი არა მართლდებოდა. ტბამ ძალიან მაღალი და მიუდგომელი, ჭაობიან-ჩალიანი ნაპირები გაიკეთა, ხალხს იქიდამ არა გზით წყლის გადაყვანა არ შეეძლოთ, მაშ ვერცარას მორწყავდნენ. იდგნენ პირდაღებული გლეხები და შესცქეროდნენ ტბასა. ტბა არხეინად იყო. მაღალი მთები-კი დაბლა იცქირებოდნენ და შუბლს იჭმუხნიდნენ.

**

ტბა-კი თანდათან ძირს ილრმავდებოდა, სულ ძირს და ძირს ჩადიოდა. ხალხის ერთი უბედურება ხომ ის იყო, რომ წყალი პირებიდამ ვერ გადაჰყავდათ მოსარწყავად, ამას კიდევ გაუძლებდნენ, როგორც გვიწირია ისეც ვწირავთო, იტყოდნენ, ეგ ტბა-კი არა ყოფილა, წინათ მაგრამ მამა-პაპას კარგათ უცხოვრიაო. თუ ზოგჯერ ჩვენს კაცს თავის ძირზედ ჩაჰმარხავს, მაგისათვისაც ნუ შევრისხავთო. ესე რო ყოფილიყო საქმე ჰაიჰაი რომ კარგი იქმნებოდა, უბედურობა ის იყო, რომ ტბა სულ ძირს იწევდა, ძირს ილრმავებდა, ახლო-მახლო სოფლებში რაც წყაროები გამოდიოდა, გზას უხსნიდა თავისკენ, უადვილებდა ტბის წყალში შერთვას, მართლაც ცოტ-ცოტათი წყაროებიც მოსწყდნენ სოფელში, სულ ტბაში დაიწყეს შედენა; სულ ტბაში და ტბაში. ტბიდამ-კი აღარსად. დაშრა წყაროები, ჭები, პატარა ხევები, დაიყმინდა, სოფლები, გახმა ყანები, დაჭკნა ვენახები. დასქდა დედამიწა, შესწუხდა ხალხი, დაიწყო დრტვინვა. იწყეს ტბისკენ დენა, ხალხმაც საქონელმაც, რიგი ტალახში ეფლობოდა, რიგი წყალში იხრჩობოდა. ეჰ, მადლობა შენთვის ღმერთო, იტყოდა ხალხი, ალბათ ჩვენი გადაგდება არ გინდოდა, თორემ ამ ტბას არ გაგვიჩენდიო. ეს ტბა რომ არ იყოს, რაღა გვეშველებოდაო. მაღლა მაგრე არ იყო.

მთებს ერთმანერთში მითქმა-მოთქმა შეუდგათ, შუბლ-შეკრულებმა ერთმანერთში ჩურჩული დაიწყეს, მაგრამ ეს ჩურჩული ნელი და სასიამოვნო როდი იყო, როცა ორი მიჯნური

ითხოვა თანაშემწედ ბერი და კიდეც აუსრულეს თხოვნა.

მ. თეოფანე სტუმართ-მოყვარეობით განთქმულია და ყოველმა სვანმა და სვანეთში მოგზაურმა იცის მისი სახელი და მისი პურ-მარილი ახსოვს. ამ უკანასკნელს ხანს მ. თეოფანემ სხვა მოზრდილ ეკკლესიის შენებას მიჰყო ხელი იქვე გვერდით და ცოტა-ღა უკლია შესრულებას. ეკკლესია, როგორც ვსთქვით, დიდია, კარგის გეგმით დაწყებული და სულ საკუთრად მ. თეოფანეს ხელოვნებით ნაკეთებია, რადგანაც მ. თეოფანემ იცის დურგლობაც, კალატოზობაც და ყოველი სხვა ხელობაც, რაც-კი საჭიროა ეკკლესიის აგებას. დილიდგან კარგა დაღამებამდე სდგას ეს მოუღალავი კაცი და ნელ-ნელა თავ-გამოდებით აგებს ღვთის სახლს, რომლის სამსახურისათვისაც აქვს შეწირული სიცოცხლე.

სვანი

# რუსეთი

9 ნოემბერს სენატის საკასაციო დეპარტამენტში გაირჩია სისხლის სამართლის წესით საქმე გაზეთ Гражданинъ-ის რედაქტორ-გამომცემლისა თავად მეშჩერსკისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ თავის გაზეთის საშვალებით შეურაცხყოფა მიაყენა სამხედრო მკურნალთა საზოგადოებას. პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ თავადი მეშჩერსკი დამნაშავედ იცნო და ამის გამო მეშჩერსკიმ აპელაცია შეიტანა სენატში. ეს საქმე უფრო იმითია ეხლა საყურადღებო, რომ თავად მეშჩერსკის გამამტყუნებლად და ბრალმდებელად რუსეთის გამოჩენილი კრიმინალისტი იქმნება, სენატორი ა. ფ. კონი.

—

ვარშავიდგან იუწყებიან, რომ სოფელ ლუკაშევიცეში საზარელი კაცის კვლა მომხდარა. იქაურ მცხოვრებს სტანისლავ კოვალსკის ქალი მიუთხოვებია მეორე სოფლის მიხოვიცეს მცხოვრებისათვის. როდესაც მეფე-დედოფალი ეტლში სხდებოდნენ ჯვარის დასაწერად, უეცრად სამჯერ გავარდა თურმე რევოლვერი. ერთი ტყვია მეფეს მოხვდა გულში და იქვე მოჰკლა. მკვლელი დაიჭირეს. აღმოჩნდა, რომ ის წინანდელი საქმრო ყოფილა კოვალსკის ქალისა და ქალს სიღარიბით დაუწუნია. დაწუნებულ საქმროს განუზრახავს შურისძიება და საოცარის სიმშვიდით შეუსრულებია კიდეც. ისიც სათქმელია, რომ მკვლელი მიწვეული ყოფილა ქორწილში.

—

ვარშავში გამოუცდიათ ახალის სისტემის ჰაეროსტატი, რომელსაც სიგარის მოყვანილობა აქვს და პარიჟშია გაკეთებული. გამოცდით აღმოჩნდა, რომ ჰაეროსტატი კარგად ადის, მოძრაობს, როგორ მიმართულებასაც მისცემენ, და ძირს წყნარად ეშვება. ხელ-მეორედ კიდევ უნდა გამოსცადონ ჰაეროსტატი და მცოდნე კაცთაც მიიწვევენ დასასწრებლად.

—

„Юридическая Газета"-ში ნაუწყებია შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი იმის შესახებ, თუ რა ვადა უნდა დაინიშნოს დასაბრუნებლად პურზედ აღებულ სესხისა იმ შეღავათით, რომელიც წრეულს არის დადგენილი.

„პურის პატრონთათვისაო, ნათქვამია ცირკულიარში, საშეღავათო სესხის საჭიროება გაზაფხულის დადგომისათანავე აღარ იქმნება, რადგან მაშინ შეუძლიანთ უშუალოდ გაანაღდონ ის პური, რაც ხელთა აქვთ, და ისიც, რაც გირაოდ შეუტანიათ სესხის ასაღებად. ამის გამო ფინანსთა მინისტრმა განკარგულება გასცა სახელმწიფო ბანკებს, რომ პურზედ სესხი გაეცით აწ მოქმედ საშეღავათო საფუძვლის თანახმად, ხოლო სესხის შემოტანის ვადა 1894 წლის პირველს მაისზედ მეტი არ მისცეთო".

თავისის ცირკულიარით შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორების შემწეობით აუწყა საერობო დაწესებულებათ, რომ უნდა ეცადოთ ამ ვადისათვისვე დაბრუნებას იმ სესხისას, რომელიც თქვენის შუამავლობით არის გაცემულიო.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ანარქისტებს წინანდელზედ მეტად ადევნებენ თვალყურს.

—

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დეველმა ბარ-ლე-დუკში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ესე გაათავა:

დიაღ, მშვიდობა! ეხლა ყველას პირს ეს სიტყვა აკერია. რამდენისამე დღის წინად ეს სიტყვა ერთსა და იმავე დროს წარმოსთქვეს უდიდებულესმა ხელმწიფემ და ბატონმა პრეზიდენტმა კარნომ და თქვენც იგივე დაწერეთ საოკვეში ლოტარინგიის ოქროს წიგნს. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ გვინდა გავამქროთ მტერი, რა მხრიდგანაც უნდა დაგვეცეს, ამით ჩვენ არავის ვემუქრებით. მოიგონეთ გამბეტას მშვენიერი სიტყვები: „საფრანგეთის გარეშე პოლიტიკამ არ უნდა დაჰფაროს არც საიდუმლო განზრახვა და არც ავანტიურაო".

ჩვენ ეს ნათლად დავამტკიცეთ იმ ზომიერებით, რომლითაც ჩვენ გამოვიჩინეთ სიამის საქმეში: ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ ხარჯის აღდგენას და არა ვსცდილობდით წინაღმდეგობა სიამისა ჩვენის გახოვნიერ მოთხოვნილობისა გამო მოგვემიზეზებინა და ბრძოლა განგვეგრძო.

ჩვენ ესევე დავამტკიცეთ ამ ცოტა ხანში გასაოცარ დღესასწაულებით, რომელთა მშვიდობიანური ხასიათი არც ერთ წამს არ დაირღვა, — იმ დაუვიწყარ დღესასწაულებით, როდესაც იმპერატორის ალექსანდრე III-ის სახელი გრგვინვასავით ისმოდა და ხმამ მარტო დიდ ქალაქებამდე-კი არა, პატარა სოფლებამდეც-კი მიაღწია და პანი კარგა ხანს არ შესწყდება ნევის ნაპირიდგან ურალამდე.

ჩვენ გვწამდა მეგობრობა დიდის ერისა, არ გვეშინოდა მომავალისა და რუსეთის ხალხის მოციქულთ, მხნე მეზღვაურთ ჩინებულად დავუხვდით; ყველა წოდება ჩვენის ერისა შეერთდა და ისეთის სანახაობას წარმოადგენდა ერთობისას და თანხმობისას, რომ ამისთანა მაგალითი, ვგონებ, ჩვენს ისტორიაში არც-კი მოიპოვება.

ეს ამბავი ეხლა-ხან მოხდა და ღრმად აღბეჭდა ჩვენზედ ნიშანი ჩვენის გეთილ გონიერებისა და ჩვენის ძლიერებისა. ამ დღესასწაულმა კეთილად იმოქმედა ჩვენზედ პარლამენტის კრებების დაწყების წინა დღით და უეჭველია, უფრო ნაყოფიერი იქმნება ჩვენი შრომა.

იყავით მშვიდად. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გამწვავებულ ბრძოლას პარლამენტში! არავისა აქვს ნება ეჭვის თვალით უყუროს ქვეყანას, რომელმაც იცის, როგორ უნდა ჩააქროს უთანხმოება და ჟიბრობა ურთიერთ შორის, თუ კი ამას სამშობლო ითხოვს და გვავალებს.

„საფრთხო ხანა წარვიდა!" დიაღ, ბატონებო, ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო „მოდის ხანა გაჭირვებისა!" აგრე იყოს. ხოლო პირდაპირ-კი ვუმზიროთ თვალებში უშიშრად (ისმის ხმა: ჩვენ დავიორგუნავთ!). დიაღ, თქვენ მართალსა ბრძანებთ: ჩვენ დავთრგუნავთ! და ბოლოს და ბოლოს ნისლი ხომ მცირეს ხანს დაჩრდილებს მხოლოდ მზესა. მას შემდეგ, რაც ჩვენ დავაარსეთ უცვალებადო და უძლეველი რესპუბლიკა, ჩვენ ნება გვაქვს თავი მოვიწონოთ ამით და ვეცადოთ მისის წარმატებისა და დიდებისათვის.

—

**ესპანია.** ესპანიაში რამდენიმე ასი ანარქისტი დააპატიმრეს და ოთხი ავაზაკი რომის ახლო ეტლით მიმავალს რუდინის დაეცა და მეეტლე დასჭრეს.

—

**გერმანია.** გაზეთი Memorial Diplomatique იუწყება, რომ პრინცის ალბერტ პრუსიელის თავმჯდომარეობით სამხედრო კომისიას ბჭობა ექმნება იმის შესახებ, რომ საფრანგეთის საზღვართან ახალი ციხე-სიმაგრეები ააგონ, და ამას გარდა, ავსტრი-გერმანიის სამხედრო ხელ-შეკრულობაში რამდენიმე მუხლი შესცვალონ.

კომისიას ექმნება აგრეთვე ბჭობა იმის შესახებაც, როგორ უნდა გაამაგრონ ზღვის ნაპირები, რომ ფრანგ-რუსთა ფლოტმა არა ავნოს-რა გერმანიას. იმპერატორს ვილჰელმს ლაპარაკი ჰქონია ამაზედ პრინც ალბერტთან და ის აზრი წარმოუთქვამს, რომ გერმანიამ ჩრდილოეთისკენ უნდა მოუყაროს თავი თავისს სამხედრო გემებს და ამის გამო ხმელთა შუა ზღვაზედ ავსტრიამ უნდა იმოქმედოს იტალიისა და ინგლისის დახმარებით.

ახალის კონვენციით ავსტრია მოვალე იქმნება თვისი ფლოტი უფრო გააძლიეროს.

## „ჭადრაკის მეფენი"

პეტერბურგში, როგორც უწყიან მკითხველებმა, ამ ჟამად დიდი საერთაშორისო რუსეთ-გერმანიის ბრძოლაა ჭადრაკის ფიცარზედ. მთელი ევროპა და ამერიკა დიდის გაფაციცებით ადევნებს თვალს ამ ბრძოლას. საზღვარ-გარეთ 300-მდე ჭადრაკის გაზეთი და ჟურნალი იბეჭდება, რომელთაც დაწვრილებით მისდით დეპეშები ამ ბრძოლის შესახებ. ნიუ-იორკიდგანა და ჩიკაგოდგან საგანგებოდ ამ ჭადრაკის ბრძოლის გამო ორი კორესპონდენტია ჩამოსული. ეს მშვიდობიანი ბრძოლა ჭადრაკის კლუბში სწარმოებს. ამ კლუბის წევრთა შორის ბევრი მოიპოვება შეძლებული, გამოჩენილი და შესანიშნავი კაცი. თვით კლუბის სადგომი სუფთად და ლაზათიანად არის მოწყობილი. ბრძოლის დროს კლუბში დიდძალი საზოგადოება იყრის თავს, მაგრამ ყველანი მეტად მართებულად იქცევიან და სიჩუმეს არაფრით არღვევენ. კედლებზედ მიკრულია დაბეჭდილი განცხადებანი, რომელიც საზოგადოებას „უმორჩილესადა სთხოვს" ხმა-დაბლა ბაასსა და ლაპარაკს.

თვით მებრძოლნი, ჩიგორინი და ექიმი ტარრაში, ცალკე ოთახში იმყოფებიან, სადაც გარეშე კაცთ შესვლა აღკრძალული აქვთ. ამ ჭადრაკის წმიდათა-წმიდათაში, მოთამაშეთა გარდა, იმყოფებიან მხოლოდ ამორჩეულნი მოსამართლენი. საზოგადოებას-კი მაინც შეუძლიან თვალ-ყური ადევნოს იმის თამაშობას. დარბაზში რამდენიმე დიდი ფიცარია ჭადრაკისა და ჭადრაკის კაცები ზედ მავთულებით არის მიმაგრებული. ყოველი ნათამაშევი ამ ფიცრებზედაც აღინიშნება ხოლმე. საზოგადოება დიდის გაფაციცებით დასჩერებია ამ ფიცრებს. ყველა მათგანი იმის სჯაშია, ვნახოთ ეხლა რომელი „ჭადრაკის მეფე" რომელ ჭადრაკის კაცს დასძრავს და ადგილს შეუცვლისო.

ტარრაში მუდმივი მცხოვრებელია ნიურენბერგისა, ხელობით ექიმია და ფორტოპიანოზედ დაკვრაც კარგად იცის. ტარრაში შუა ხნის კაცია, ჩუმი და ჩაფიქრებული. ჩიგორინი ორმოცს წელიწადს გადაცილებულია, პირ-ხმელი შავგვრემანი სახე აქვს, წვერ-ულვაშით შემკული. მისი ღრმა თვალები გონიერად, ფიქრიანად და მტკიცედ გამოიხედებიან. ჩიგორინის ამბავი მართლა რომ იშვიათი ამბავია. სამსახური დაიწყო დეპარტამენტის ერთ პაწია მოხელეს თანამდებობაზედ, შემდეგ თავი დაანება სამსახურს და ჭადრაკის მეტს აღარას მიჰკარებია. ეხლა ჭადრაკივეა მისი სახსარი საცხოვრებელ საზრდოს მოსაპოვებლად. მხოლოდ თავისის ნიჭის შემწეობით არსებობს. ეს შეიძლება ბევრს ცოტა ეუცხოვოს და იკითხოს, ჭადრაკის ფიცარმა რა ლუკმაპური უნდა მისცეს ადამიანსაო? ჯერ ერთი, ჩიგორინს საზღვარ-გარეთ და-

---

ერთმანერთს თავის გულის პასუხებს უამბობს, და ორს დამფთხვალ შვლებივით ინაბებიან და ქვეყნის ხმაურობას ემალებიან. ეს ჩურჩული ნელ-ნელა იზრდებოდა, ერთმანერთს ეწეოდა მოპარული ხმა, სქელდებოდა, იზრდებოდა, როგორც მშრალს და ნაგვალს მიწაზედ გადაშვებული მდინარე, ჯერ მძლივ-მძლივ სადმე ცვრებად მიწანწკარებს, მშიერი დედამიწა ხარბად ჰყლაპავს წინა ტალღებს, სანამ უკანანი მოეწევიან, და მიწის გაუმაძღრობას გადაჰფელვენ, მერე წინებს სულ უკანა ტალღა ემატება, ძალას ეძლევა და გაშმაგებული ყვირის და არღვევს იმავე მიწას, რომელიც ამ ერთის წუთის წინათ ისე ხარბად ჰყლაპავდა წყლის ცვრებსა. ჩემით გაგაძღობ და ჩემის ღეშითვე დაგახრჩობო, ეს გამოთქმული ჰქონდა წინსაძღოლადა.

მთების ჩურჩული რაღაც საზარელ ხმებად გადიქცა. ჩუმი მაგრამ ძლიერი და მედგარი გრგვინვა ისმოდა. კაცს ეგონებოდა, დედამიწის გული გახეთქილა, მთელი ქვეყნის დევებს იქ მოუყრიათ თავი და სინათლის დანახვაზედ ოკიანესებური როყინი აუტეხიათო.

საზარელი ხმაურობა იყო, განუწყვეტელი გუგუნი იდგა. ერთმა კიდეც შენიშნა, რომ მთები იძვროდნენ, მაგრამ იმათი ნძრევა შეუმჩნეველი იყო, როგორც ქალწული ქალის ძუძუებისა. ეს მთებიც ქალწულები იყვნენ, ჯერ იმათ წამბილწველი ხელი არ შეხებიყო და მჩვრებივით არ მოესრისა. ვინ დაუჯერებდა მნახველს თუ მთები იძრნენო, მაგრამ მეორემაც შენიშნა, მესამემაც, მეოთხემაც, მეხუთემაც, მეექვსემაც და მერე ყველამ, ყველამ, დიდმა და პატარამ. მაგრამ კიდევაც არ იჯერებდნენ. აბა რა დასაჯერი იყო, როცა თვალებში ისე ებლანდებოდათ მნახველებს თითქო სულ მაღალს, მაღალს იალბუზზედ კიდევ უზარმაზარ მთას დაეწია ძირს, თავი მოეხარა, პატარა გორაკებს აეწიათ თანაბრად იდგნენ და თითქო რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. ვინ დაიჯერებდა, ყველა ისე იძახდა გვეჩვენება, თვალები გვიჭრელდება, სიცხე არისო და გონებას გვიჩლუნგებსო.

მზეც რაც ძალი და ღონე ჰქონდა აცხებდა და აცხებდა თავის ცეცხლის ბურთებს, აგორებდა და აგორებდა გახურებულ ცის სახურავზედ. დედამიწას სული შაეხუთა, კაცები მაღალ გორაკებზედა და ახლო-მახლო მთებზედ მირბოდნენ, ზოგი მთების საცქერლად და ზოგიც გასანავებლად. საჩქაროდ მთელი სოფელი გაიხიზნა, ავიდნენ მთებზედ და იქიდამ ყურს უგდებდნენ შემაძრწუნებელს გრიალს. სოფელში ერთი კაცი აღარ იყო, ვინც მინდვრად იყო, სულ მაღლა ავიდნენ. სიცხე თან-და-თან უმატებდა, დედამიწა თითქო გახეთქას აპირობდა და თავის გულ-მკერდის გამოჩენას.

ტბა-კი ნელ-ნელა ექანებოდა სიამოვნების ნიშნად, რამდენიც ზევითი პირი გაუთბებოდა, იმდენ ქვევით ჩაუშვებდა და ახალ ახალს ამოუშვებდა. ამ რიგად ხან ჩადიოდა, ხან ამოდიოდა, თვითონაც ვერა ჰნიშნავდა თუ წყალი როგორ ღურღურებდა და მოუსვენრობდა. კარგი ნიშანიაო, იძახდა ტბა, მზე იკბინება, დიდი წვიმა მოვა, ერთი მადიანად კიდევ გამაძღობსო. ის ამ ფიქრებში იყო და ვერ შენიშნა თუ უცებ მზე სადღაც გაქრა. მთელი ქვეყანა გაუტეხავმა და თვალგაუჩხვერავმა სიბნელემ მოიცვა. გალესილი თითქო კუპრით სავსე ქვაბი გადააფარეს თავზედ ქვეყანასაო. შეშინებულ ხალხს გულები წაუვიდათ, აზრი დაჰკარგეს, ფიქრი და უძრავად ეყარნენ მაღლა მთებზედ მკვდრებივით. ყველა სულიერი მაღლა კლდეებში შეძვრნენ, ფრინველები ათასის წლის მუხების წვერებში შეიხიზნენ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

იბარებენ ხოლმე როგორც შესანიშნავს მეჭადრაკეს. ორჯელ იყო კუნძულს კუბაზედ. მთელს ქვეყანაში დიდად ცნობილს ჰავანის ჭადრაკის კლუბს დიდი შეძლება აქვს. ჩიგორინს გზის ხარჯს მისი დამბარებელი ჭადრაკის საზოგადოებანი აძლევენ. ჰავანის კლუბი კიდევ ჩიგორინს აძლევს 500 მან. საცხოვრებელს და ამას გარდა 20 მან. ყოველს წაგებაზედ ეძლევა და 50 მან. ყოველს მოგებაზედ. ამას გარეშე ჩიგორინს მცირეოდენამდე წილი უძევს იმ სანაძლეოში, რომელსაც იმის გამო იჭერენ.

ჩიგორინისა და ტარრაშის ეხლანდელ გამკლავების გამო ორასი თუმანია სანაძლეოდ დადებული. ტარრაში თავისს მხრით თითონ არის ჩამოსული ფულს, ჩიგორინის ნაწილი კლუბის წევრთ შეუგროვებიათ თავის შორის. ჯერ-ჯერობით ბედი უცხოეთიდგან ჩამოსულს სტუმარს უღიმის. ორივე მოჭადრაკენი დიდად ხელმძიმედ თამაშობენ და დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ იმათ ადევნოს თვალ-ყური. თითო თამაშობას 5—7 საათს უნდებიან. საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ ეგენი კიდევ სწრაფად თამაშობენო და საბუთად მოჰყავთ ამბავი სტეინიცისა, რომელსაც ერთხელ ერთის თამაშობისათვის სამი დღე მოუნდომებია—51 საათი. ჩიგორინს უსაყვედურებენ „გულისყურის მიუდევნელობასა“ და უცნაურ შეცდომების ჩადენას. ტარრაშის გამარჯვება ჩიგორინს საშინლად უხდენს გუნებას. როდესაც დაატყობს ხოლმე თავისს თავს, რომ აღარა მეშველება-რაო, უცბად წამოიწევს და ხმა-მაღლა, გარკვევით ამბობს:

— ჩემს თავს დამარცხებულადა ვსთვლიო!

ამას შემდეგ კლუბში დიდი მოწყენა ჩამოვარდება ხოლმე. თავ-ჩაქინდრული კლუბის წევრნი არყის დასალევად გადიან. გერმანელების სიხარულს საზღვარი არა აქვს...

როგორც გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს, ჩიგორინისა და ტარრაშის გამკლავებამ ვერც ერთი გაამარჯვა და ვერც მეორე, რადგან თანასწორად მოიგეს.

## გასართობი

ერთმა სალდათმა 1849 წელს დააპატიმრა ქუჩაში მიმავალი ფრაკიანი კაცი, რომელიც იმ დროს ოხუჯობითა და მოსწრებულის სიტყვით იყო განთქმული.

— რისთვის მაპატიმრებ?—ჰკითხა ფრაკიანმა.

— შენმა ამხანაკებმა მითხრეს, რომ შენ დემაგოგი ხარო (ხალხის მეთაური).

— დემაგოგი-კი არა, პედაგოგი ვარ, პედაგოგსა და დემაგოგს შორის, ჩემო მეგობარო, ძალიან დიდი განსხვავებაა.

— აბა ეგ რა ჩემი საქმეა? შენ მაინც რალაც „გოგია ყოფილხარ, და მე მაგის მეტი არა მეკითხება-რა. გასწი ჩქარა საპატიმროში და იქ მთავრობა გაარჩევს, ვინცა ხარ.

—

ერთმა თათარმა კავკასიაში ცოლი შეირთო და წინად-კი თავისი საცოლე არ ენახა. როდესაც მარტო დარჩნენ, ქმარმა ცოლს პირბადე აჰხადა და დაინა ხა საძაგლისაგან საძაგელი სახე. ახალგაზდა ცოლმა მორცხვად ჰკითხა თავის ქმარს, ჩვეულებისამებრ:

— შენს ნათესავებში ვის შემიძლიან უპირბადოდ ვეჩვენოვო?

— ყველას, ყველას, ჩემს გარდა!—სიბრაზით წამოიძახა ქმარმა.

### გამოსადეგი ცნობა

გაჭრილის და დაქექილის განისა და თვალის ანთების წამალი. განი რომ გაიჭრას კაცმა ან დაიწყწკოს და დაიქექოს ისე, რომ დაუსივდეს კიდეც, ეს წამალი უნდა იხმაროს: ერთ ლიტრს წყალში ($^2/_3$ შტოფისა) უნდა გააზავოს 4 გრამი (მისხალზედ ცოტა ნაკლები) თუთიას შაბიამანი [1]), ნახევარ გრამი ($^1/_9$ მისხლისა) ქაფური [2]). ამ წამალში ამოვლებული ტილო დაიდოს ნატკენ ადგილს და მალიმალ იცვალოს.

ესევე წამალი და ამგვარადვე ხმარებული კარგია თვალის [illegible] თოების ანთების მოსარჩენად, ხოლო ამისათვის დასახელებულ წამლების შესაზავებლად წყალი ერთი-ორად მეტი უნდა იყვეს.

1) Цинковый купаросъ.
2) Камфора.

## დეპეშა

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მე-18 ქვეითი ჯარის დივიზიის უფროსი სტოლეტოვი დაინიშნა, მე-15 კორპუსის უფროსად მირკოვიჩის მაგიერ, რომელსაც ინფანტერიის გენერლობა ებოძა და სამსახურიდგინ დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო. მე-23 დივიზიის უფროსი ბალიანოვი დაინიშნა მე-12 კორპუსის უფროსად.

მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაარსების პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა.

**ბერლინი.** დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძისა და დიდის მთავრინის მარიამ პავლეს ასულის პატივსაცემლად იმპერატორს დღეს სადილი ჰქონდა. დილას დიდი მთავრინა ქრივ დედოფალთან იყო სანახავად. დიდი მთავარი მეუღლითურთ გუშინ აპირობდა გამომგზავრებას.

**ლონდონი.** დღეს ალლუმის შემდეგ ემირმა გამოაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობასთან გავათავეთ საზღვრების საქმეცა და რაც-კი სხვა რამ გვქონდა სალაპარაკოვო; ჩვენსა და ინგლისს შორის მეგობრული კავშირი მკვიდრად დამყარდაო.

**მარსელი.** მე-15 სამხედრო კორპუსის უფროსის სახლის წინ ყუმბარა ააფეთქეს; სადარაჯო დაილეწა და ფანჯრების მინები ჩაიმსხვრა, არავინ-კი დაშავებულა. დერეფანში მეორე ყუმბარაც იპოვეს. ერთი იტალიელი ანარქისტი დააპატიმრეს.

**ბარცელონა.** მუშა ხალხი მეტად აღელვებულია იმის გამო, რომ სოციალისტების მეთაური ფონტალსი დააპატიმრეს და გამომძიებელმა ანარქისტთა პროცესში უნდა გაახვიოს. მუშათა ამხანაგობა, რომლის პრეზიდენტად ფონტალსი იყო და რომელიც უძლიერეს ხალხის ძალას წარმოადგენს კატალონიაში, უარჰყოფს ყოველგვარ დამოკიდებულებას ვილლანოველ ანარქისტებთან. ჟანდარმებთა სადგომთან ყუმბარა ააფეთქეს; მხოლოდ ნივთიერი ზარალია.

### პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაურიგდე-ნისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,60 | 7,62 | — ,, |
| ფრამოყნის კუპონები | 152 | 152¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა | 218 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომ[illegible] | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 |

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათოყით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასრკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.


## განცხადებანი

### კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—121)

### გამოსადეგი ცნობანი
### პირველი კერძო საავადმყოფო საშკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ф პროცტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

მ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, [illegible] და ცხვირისა, ორშაბათობით, [illegible] და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

### „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. ვოსკანოვი

(25—1018—10)



### წისქვილის თვლები

**თვლები** ხორბლის წმინდად დასაფქვავად, ქატო ბრტყელი იქმნება.

**ტურბინები** (წყალის ამომყვანი) და ნავთით მომუშავე მანქანები „**სლავა**“ (დიდება).

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

### ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

### სასაპარელო ესსენცია კოლლერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.